საფეხური: დაწყებითი საფეხური

კლასი: III-IV კლასი

„ფინანსური განათლება სკოლაში“ - ამ კონკურსის შესახებ როცა შევიტყვე, გადავწყვიტე, ჩვენი სკოლის მესამეკლასელების კლუბური მუშაობის შესახებ დამეწერა. მოგეხსენებათ, რომ ფინანსური განათლება თანამედროვე სამყაროში აუცილებელ და საჭირო კომპეტენციად მიიჩნევა. კომპეტენტური ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით, ფინანსური განათლება სკოლაში რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან უნდა იწყებოდეს. ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებშიც ვკითხულობთ:

- „დაწყებითი საფეხურების მოსწავლემ უნდა შეძლოს:
  საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება, რესურსების რაციონალურად დაგეგმვა და დაზოგვა ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, სხვადასხვა პროფესიის საჭიროებისა და მნიშვნელობის გასაცნობიერებლად.“

სკოლა-ლიცეუმ პრომეთეში უკვე წლებია ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტები ხორციელდება და ტრადიციად არის ქცეული, რომ მოსწავლეების ფინანსურ განათლებას დაწყებითი საფეხურიდანვე ჩაეყაროს საფუძველი.

მესამეკლასელები ერთიანდებიან კლუბში ,,ნორჩი ბიზნესმენი''. ეცნობიან კლუბის დებულებას და სამუშაო შეხვედრების მიზანს. კლუბური მუშაობის მიზანია მოსწავლეებს ასწავლოს არჩევანის გაკეთება, მიზნების დასახვა, სურვილებისა და საჭიროებების განსაზღვრა, ფულის გამომუშავება, დანაზოგის გაკეთება.

კლუბში მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები აკეთებენ სახალისო ვიდეოჩანაწერებს. მათ ურიგდებათ ფინანსებთან და ბიზნესთან დაკავშირებული სიტყვები. უნდა განმარტონ ეს სიტყვები. (დაზოგვა, ფინანსიტი, ბიზნესმენი, ქველმოქმედი, ხარჯი, მოგება, დაბანდება, შემოსავალი, პროდუქტი და ა.შ.). ეს ვიდეოები ინახება წლის ბოლომდე და დასკვნით

შეხვედრაზე მოსწავლეები აღმოაჩენენ, როგორ ამაღლდა მათი ცოდნა ფინანსურ განათლებაში. ეს ვიდეოები საკმაოდ სახალისოც არის ხოლმე და მშობლებიც დიდი სიამოვნებით უყურებენ.

სამუშაო მასალები ძირითადად აღებულია დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში განხორციელებული ბიზნესის უნარ-ჩვევების პროგრამიდან, რომელიც ჩვენი კლუბის მუშაობას მოვარგეთ და საინტერესო კომპლექსური დავალებებით გავამდიდრეთ. კლუბური მუშაობა მოიცავდა, როგორც მოსმენას, ხატვას, თამაშს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ინტერაქციას, კითხვარებს, ინტერვიუს, პროექტის განხორციელებას, შეხვედრების ორგანიზებას და სხვა აქტივობებს. ყველა შეხვედრისთვის მოვამზადეთ საინტერესო, სახალისო და ინტერაქტიული პრეზენტაციები.

კონკრეტულად გიამბობთ, როგორ მიმდინარეობდა კლუბის მუშაობა 2022-2023 სასწავლო წელს. მოსწავლეებს დასაწყისში გავაცანი, რომ მათ წლის ბოლოსათვის უნდა დაებეჭდათ საკუთარი მოთხრობების კრებული, სადაც ყველა მოსწავლის მოთხრობა იქნებოდა შეტანილი. ამ მოთხრობებს ისინი დაწერდნენ „თხზულებების ფესტივალის“ დროს. ამიტომ დასაბეჭდად თანხები უნდა მოეძიებინათ, უფროსების დახმარებით მოეძებნათ გამომცემლობა, შემდეგ უნდა შეძლებოდათ მოთხრობების გამოფენა-გაყიდვა და მოგების დაანგარიშება. ამ ყველაფრის განხორციელებაში კი მათ კლუბური მუშაობა დაეხმარებოდათ.

პირველ შეხვედრაზე მოსწავლეებს ვაჩვენე სახალისო ვიდეო, თუ როგორ გაჩნდა ფული.**(#1),** შემდეგ წავუკითხე პატარა მოთხრობა ,,თოკოს მოგზაურობა სოფელში“. წაკითხულიდან შეიტყვეს, თუ რა არის ბარტერი ანუ გაცვლა, საქონელი-ნივთები, რომელსაც ვყიდით ან ვყიდულობ, ვაჭრობა-ყიდვა-გაყიდვა (ერთი ადამიანის მიერ სხვა ადამიანისთვის საქონლის გადაცემა ფულის ან სხვა საქონლის ფასად), სამუშაო-საქმე.

შეასრულეს კომპლექსური დავალება -,,როგორ ვიშოვი ფულს, საკუთარი ფერმა რომ მქონდეს''. პირველ ეტაპზე წარმოადგინეს ნამუშევარი: ,,ჩემი საყვარელი ცხოველი''- ნახატი ან პლასტელინისგან დამზადებული, შემდეგ ფულის შოვნის საკუთარი მოსაზრებებიც გააცვნეს ერთმანეთს. (#2)







ამის შემდეგ ახალი მოთხრობა წავიკითხეთ(ანანო და კარუსელი- **(#3**) და ახალი გმირების დახმარებით შევიტყვეთ რა არის ხარჯი, მოგება, დანაზოგი, ფულის გამომუშავება. შემდეგ დავალებაში უნდა ემსჯელათ ფულის დაზოგვის საკუთარ გამოცდილებასა და იდეებზე. დაეხატათ - ,,რის შეძენას ისურვებდნენ დანაზოგი ფულით''. გავეცანით ქართული ფულის ერთეულებს, ვნახეთ სახალისო ვიდეო ფულის დაგროვებაზე-რომ 1 და 2 თეთრი თითქოს არაფერია, მაგრამ ყოველდღე თუ ერთმანეთს მივუმატებთ, შეიძლება დიდი თანხაც მოვაგროვოთ! იმის გასაგებად, რამდენად კარგად დაიმახსოვრეს ეს თემები ბავშვებმა, ჩავატარე ვიქტორინა (კლასი რიგების მიხდვით დაყოფილი იყო ოთხ ჯგუფად და ზეპირად პასუხობდნენ შეკითხვებს). (#4) მოთხრობის პერსონაჟის საქმიანობიდან გაიგეს, რომ მას გაუჩნდა იდეა;

- მოიფიქრა რისი გაკეთება შეეძლო - პროდუქტი;
- იშოვა რესურსები ამ პროდუქციის დასამზადებლად;
- პროდუქტს დაადო ფასი;
- შეარჩია გასაყიდი ადგილი;

- სრულად გაყიდა სანიშნეები;
- დაითვალა (დაიანგარიშა);
- ნაწილი დახარჯა, ნაწილი_ დაზოგა.

შემდეგ შეხვედრაზე მოსწავლეებს განსაკუთრებით მოეწონათ ვიდეო პატარა დათუნიებზე, რომლებმაც ფულის გამომუშავება და შეგროვება გადაწყტვიტეს(#6). გაიგეს, რომ სარგებელი მხოლოდ ფულის აღება არ არის. სარგებელი შეიძლება იყოს როგორც მატერიალური ასევე არამატერიალური. მაგ. სარგებელი შეიძლება იყოს ფული, საჩუქარი ან სხვა ხელშესახები რამ და ასევე ადამიანის მადლობა, სხვისთვის მინიჭებული სიხარული, სხვისი ან საკუთარი თავისთვის მინიჭებული ბედნიერება.

პატარებმა ამ დროისათვის ფინანსურ საკითხებში უკვე საკმაოდ დიდი ცოდნა შეიძინეს და შევთავაზე დანაზოგების შესაგროვებლად აერჩიათ“

- კლასის ბანკირი - რომელიც შეინახავს ბანკს;
- მოლარე - გაატარებს თანხას;
- ფინანსისტი - აღრიცხავს ფულს (გასავალი და შემოსავალი), დაითვლის ბიუჯეტს (რა თანხა დაჭირდებათ), დაადებს ფასებს, დაითვლის შემოსავლებსა და მოგებას.

რა თქმა უნდა, ყველა შეხვედრზე ხდებოდა ბიზნეს გაკვეთილებზე შესწავლილი ცნებების გამეორება, რა არის დაზოგვა, სარგებელი, შემოსავალი, ნაშთი, მოგება, დანახარჯი, იდეა, ფასი, პროდუქტი, ბარტერი და ა.შ. ბავშვებმა ახალ პერსონაჟებთან ერთად (მოთხრობიდან ,,მეგი საჩუქარს ყიდულობა'' (#8) ისწავლეს, რომ წამოჭრილი ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა იდეის მოფიქრება, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ, რა არის მატერიალური და არამატერიალური სარგებელი - ფული, ქონება, სიხარული, ბედნიერება, კმაყოფილება, სხვისი ბედნიერებით გახარება, მადლობის მოსმენა და ა.შ.

ისიც აღნიშნეს, რომ მუშაობა არაა მარტივი, ზოგჯერ შედარებით რთულია, ზოგჯერ შედარებით მარტივი (მაღაროელი, მეეზოვე, კულინარი, ფინანსისტი, მასწავლებელი, ინჟინერი და სხვა), მაგრამ მთავარია შენი საქმე იპოვო და გიყვარდეს, სიყვარულით აკეთებდე საქმეს, სიყვარული უფრო აადვილებს საქმის კეთებას. სახლში განაწილებული საქმე უფრო აიოლებს წესრიგს. ერთ

ადამიანს ყველაფრის გაკეთება გაუჭირდება. მაგ. მეპურე რომ არ არსებობდეს, ყველას თავისთვის მოუწევდა პურის ცხობა და ეს გაართულებდა მათ ცხოვრებას. ან ექიმი რომ არ არსებობდეს, ყველას თავისით მოუწევდა მკურნალობა. ასეთ საკითხებზე დიდი ინტერესითა და ხალისით მსჯელობდნენ. მოთხრობის პერსონაჟის-მეგის დედის მაგალითით იმსჯელეს იმაზეც, თუ რა არის მათი მშობლების მიზანი, რომელიც საბოლოოდ ასეთი სქემით გადმოვეცით. საინტერესო იყო მათი მოსაზრება მშობლების სარგებლის შესახებ ამ მიზნის განხორციელების შემდეგ.



შევთნხმდით, რომ მათი სარგებელი ბიზნეს გაკვეთილებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება იქნებოდა.

შემდეგი კომპლექსური დავალება სწორედ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას ეხებოდა, რომელიც ჯგუფურად განხორციელდა, მოსწავლეებს უნდა გამოეთვალათ, პროდუქტების საყიდლად ეყოფოდა თუ არა ნიკას დედის მიცემული ოცლარიანი და დარჩებოდა თუ არა ხურდა.

შემდეგ ვიდეოფილმში მოსწავლეები გაეცნენ ფრედის ისტორიას, რომლის მიზანი ჯერ იყო, რომ სათევზაოდ ევლო, ამიტომაც გაუჩნდა იდეა საპონი მოეფიქრებინა **(#9).** ბევრი იმუშავა და მიიღო

ახალი პროდუქტი, რომელზედაც მოთხოვნა მაშინვე გაჩნდა, თუმცა შემდეგ ახალი მიზანი დაისახა-დაქორწინება და ამისათვის მეტი მუშაობა სჭირდებოდა. ფირმის გასაზრდელად მისი იდეა იყო ესესხა ფული. ბევრი იშრომა, უკეთეს და უკეთეს პროდუქტს სთავაზობდა მომხმარებელს, მოთხოვნა იზრდებოდა და ის პასუხობდა ამ მოთხოვნებს. იდეის, დასახული მიზნების, მიზნების განხორციელების გზებსა და მიღებული სარგებლის უკეთ გასააზრებლად მოსწავლეებმა ჯგუფურად იმუშავეს. ერთი კონკრეტული ამოცანის პერსონაჟებს-ნანუკასა და გივიკოს დაეხმარნენ.

ამ პერიოდისთვის მესამეკლასელებმა უკვე მონაწილეობა მიიღეს თხზულებების ფესტივალში. სადაც სათაურებისა და ილუსტრაციების მიხედვით შექმნეს საინტერესო მოთხრობები, გაუკეთეს ილუსტრაციები და მშობლებისა და ჩემი დახმარებით დასაბეჭდად ვორდის ფაილზე გადაიტანეს. კლუბში ჩატარებულ სამუშაო შეხვედრებზე მათ უკვე საკმაოდ დიდი ცოდნა დააგროვეს და მოახერხეს დასაბეჭდი ფულის შეგროვება (გააკეთეს დანაზოგი, გამოიმუშავეს საკუთარი შრომით ან ისესხეს, მიიღეს დაფინანსება-ინვესტიცია). შემდეგ მოვძებნეთ გამომცემლობა და დავბეჭდეთ წიგნები.

შთამბეჭდავი იყო ბოლო შეხვედრა. მოვიწვიეთ მშობლები და მასწავლებლები და მოვაწყვეთ გამოფენა-გაყიდვა. მოსწავლეებმა ისაუბრეს გაწეული მუშაობის შესახებ, თავიანთი ცოდნა შეადარეს წლის დასაწყიში ბიზნეს ტერმინებზე ჩაწერილ ვიდეოს, შედეგი თვალსაჩინო იყო, ყველამ ერთად ძალიან ვიხალისეთ ამ ვიდეოებზე.

საბოლოო მიზანი მიღწეულად ჩავთვალეთ, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

1. ბავშვების თვალსაწიერის გაფართოება და აღქმითი და კრეატიული უნარების განვითარება;
2. მეწარმეობრივი ხედვების ინსპირირება (გამომცემლობაში მიმდინარე პროცესების გაცნობითა და რეალიზებით);
3. ფინანსების მართვის ელემენტების გაცნობა (ხარჯის დაანგარიშება, ფინანსების მოძიება, ფასის დადება და მოგების მიღება).

დაწყებითი კლასების მასწავლებელი

ირმა ლურსმანაშვილი-ბაკურაძე

კლუბური მუშაობა ტარდება 2 კვირაში ერთხელ.

კლუბური მუშაობა მიმდინარეობს საკლასო ოთახში ან Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით (საჭიროების შემთხვევაში);

კლუბური მუშაობა მოიცავს როგორც მოსმენას, ხატვას, თამაშს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს, ინტერაქციას, კითხვარებს, ინტერვიუს, პროექტის განხორციელებას, შეხვედრების ორგანიზებას და სხვა აქტივობებს.

კლუბური მუშაობის გეგმა

შეხვედრის N	თარიღი	თემა	რეფლექსია	შენიშვნა
1.	27.01	კლუბის შექმნა	შევქმენით კლუბი. მოვიფიქრეთ სახელი და სლოგანი.	
2.	04.02	„თოკოს მოგზაურობა სოფელში“	წავიკითხეთ თოკოს ამბავი. ვისწავლეთ ახალი ცნებები. მოსწავლეებმა დახატეს საყვარელი ცხოველი, რომელსაც ფერმაში იყოლიებდნენ.	
3.	10.02	ვიდეოფილმი ,,როგორ ვიშოვოთ ფული’’; საკუთარი ამბის მოფიქრება	ვნახეთ ვიდეოფილმი ,,როგორ ვიშოვოთ ფული’’, გავიხსენეთ თოკოს ამბავი და მოსწავლეებმა დაწერეს როგორ იშოვიდნენ ფულს, საკუთარი ფერმა რომ ჰქონდეთ.	
4.	24.02			
5.				
6.				
7.				
8.				
9.				
10.				
11.				
12.				
13.				
14.				
15.				
16.				
17.				

კლუბური მუშაობის გეგმა

შეხვედრა #1 საკლუბო მუშაობის შექმნის საჭიროება, მიზნებისა და ამოცანების გაცნობა.

შეხვედრა #2 „თოკოს მოგზაურობა სოფელში“ (წაკითხვა)

შეხვედრა #3 „თოკოს მოგზაურობა სოფელში“ ვიდეო ფილმის „როგორ ვიშოვოთ ფული“ ჩვენება (საკუთარი ამბის მოფიქრება ,როგორ იშოვნიან ფულს პატარა ფერმა რომ ჰქონდეთ“)

შეხვედრა #4 “ანანო და კარუსელი“

შეხვედრა #5 „ანანო და კარუსელი“ პრაქტიკული სამუშაოების შესრულება

შეხვედრა #6 „სანდრომ ბოსტანი გააშენა“

შეხვედრა #7 „სანდრომ ბოსტანი გააშენა“ პრაქტიკული სამუშაოების შესრულება, დავრგოთ მცენარეები

შეხვედრა #8 “მეგი საჩუქარს ყიდულობს“

შეხვედრა #9 „მეგი საჩუქარს ყიდულობს“: პრაქტიკული სამუშაოების შესრულება

შეხვედრა #10 „ საბა და ახალი სათამაშო მოედანი“

შეხვედრა #11 ფულის ერთეული „პრაქტიკული სამუშაოების შესრულება“

შეხვედრა #12 ,,პრაქტიკული სამუშაოების შესრულება“

შეხვედრა #13 საქველმოქმედო გამოფენა

შეხვედრა#14 მზადება წიგნის გამოსაცემად

შეხვედრა# 15 წიგნის პრეზენტაცია